პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 92 (3576) 12 1968 წ. მაისი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

# ბრწყინვალე გამარჯვება

გუშინ მოსკოვში გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მეოთხედფინალის განმეორებითი მატჩი სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა (3:0) და გავიდნენ გათამაშების ნახევარფინალში.

სსრ კავშირი: პშენიჩნიკოვი, აფონინი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ანიჩკინი, კაპლიჩნი, ჩისლენკო, ვორონინი, ბანიშევსკი, ბიშოვეცი, ევრიუჟიხინი,

უნგრეთი: ტამაში, ნოვაკი, შოიმოში, იხასი, სიუჩი, მესეი, ვარგა, კომორა, ალბერტი, ფარკაში, რაკოში.

მსაჯი კ. ჩენჩერი (გფრ).

გოლები გაიტანეს: შოიმოშიმ (22-ე წუთზე საკუთარ კარში), ხურცილავამ (59) და ბიშოვეცმა (73).

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### მატჩები, გოლები, [illegible]

### „ა“ კლასი I ჯგუფი

მოსკოვის „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ მატჩით დამთავრდა ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტური, რომელმაც სატურნირო ცხრილის ზედა ნახევარში არსებითი ცვლილებები შეიტანა. მატჩის მე-80 წუთამდე სპარტაკელები III ადგილზე იმყოფებოდნენ, მაგრამ აი ვეტერანმა ჰუსაინოვმა გაიტანა გოლი და გუნდი ერთბაშად ლიდერად იქცა. გამარჯვება საეჭვო რომ არ ყოფილიყო, 4 წუთის შემდეგ ამბარცუმიანმა 11-მეტრიანიდან გაზარდა ანგარიში — 2:0.

ლუგანსკის „ზარიამ“ თავის მოედანზე მიიღო დონეცკის „შახტიორი“. მატჩის წინ მასპინძლებმა სტუმრებს მაისის ყვავილების თაიგული გადასცეს, ორი წუთის შემდეგ კი გოლიც გაუტანეს (შაკუნი). შესვენებამდე ბურთმა კიდევ ორჯერ გადაკვეთა კარის ხაზი: ჯერ რაზდაევმა ანგარიში ორამდე გაზარდა, შემდეგ კი ლობანოვსკიმ გაქვითა ერთი გოლი. შესვენების შემდეგ ლუგანსკელთა კაპიტანმა გალუსტოვმა მეტოქის კარის ბადე მესამედ შეარხია.

პირველი დამარცხება იწვნია ლენინგრადის „ზენიტმა“ მინსკში. შესვენებამდე ანგარიში არ გახსნილა. II ტაიმში კი ორივე გუნდი გააქტიურდა. დინამოელების (კუზნეცოვი, სავოსტიკოვი) ორ გოლს ლენინგრადელებმა ერთით (პოლოსოვი) უპასუხეს და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

თავის მოედანზე მესამე მატჩს ვერ იგებს სსრ კავშირის ჩემპიონი კიევის „დინამო“. ამჯერად მას ხასიათი გაუფუჭა ტრადიციულმა მეტოქემ — „ჩერნომორეცმა“. დასაწყისში ყველაფერი კარგად მიდიოდა. ანგარიში გახსნა პუზაჩმა (48 წუთი), 10 წუთის შემდეგ კი ხმელნიცკიმ იგი ორამდე გაზარდა. დინამოელთა გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა, მაგრამ ეს აზრი არ გაიზიარეს ოდესელებმა. 79-ე წუთზე სეკეჩმა ერთი ბურთი გაქვითა, ხოლო მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე კრულიკოვსკიმ საკუთარ კარში გაიტანა გოლი — 2:2.

გამარჯვების დღე მოსკოვის არმიელებმა გამარჯვებით აღნიშნეს. დაძაბულ ბრძოლაში მათ დაამარცხეს თანაქალაქელი დინამოელები — 2:1. ბურთები გაიტანეს: არმიელთაგან — პონომარიოვმა და შულიატიცკიმ, დინამოელთაგან — კოზლოვმა.

დაბოლოს იმ მატჩის შესახებ, რომლითაც დაიწყო აღნიშნული ტური. ალმა-ათის „კაირატმა“ თავის მოედანზე დიდი ანგარიშით (4:1) მოუგო ტაშკენტის „პახტაკორს“. ბურთები გაიტანეს: კვოჩკინმა, ასილბაევმა, ციპკუნმა, მუსინმა („კაირატი“) და აბდურაიმოვმა („პახტაკორი“).

როგორც ხედავთ, ტური საკმაოდ შედეგიანი გამოდგა — 9 მატჩში გატანილ იქნა 21 გოლი. განსაკუთრებით კარგად ითამაშეს მასპინძლებმა, რომლებმაც 15 ქულა აიღეს. სტუმრები ამჯერად მხოლოდ 3 ქულით დაკმაყოფილდნენ.

ჯერჯერობით დამარცხების სიმწარე არ განუცდია 3 კოლექტივს — მოსკოვის „სპარტაკს“, კიევის „დინამოს“ და ცსკა-ს. სამაგიეროდ, არც ერთი მატჩი არ მოუგიათ როსტოვის არმიელებს და ტაშკენტის „პახტაკორს“. ყველაზე მეტი ყაიმი აქვთ კიევის დინამოელებს, ცსკა-ს, ლენინგრადის „ზენიტსა“ და ტაშკენტის „პახტაკორს“ — 5-5. ყველაზე შედეგიანი თავდასხმა აღმოაჩნდათ მოსკოვის „სპარტაკს“ და „ლოკომოტივს“ (11-11 ბურთი). კიროვაბადის „დინამომ“ კი 7 მატჩში მხოლოდ 2 ბურთი გაიტანა. საკუთარ კარში ყველაზე ცოტა ბურთი მიიღო ბაქოს „ნეფტჩიმ“ — 2, ყველაზე მეტი კი როსტოვის ასკ-მ და ქუთაისის „ტორპედომ“ — 14-14.

### გუშინ...

### „ა“ კლასი II ჯგუფი

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა ფეხბურთელთა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ მიიღო სუმგაითის „ფოლადი“. 90 წუთის მანძილზე ვერცერთმა გუნდმა ვერ შეძლო ბურთის გატანა და შეხვედრა ფრედ — 0:0 დამთავრდა. ამ გუნდების დუბლიორთა მატჩში გაიმარჯვეს რკინიგზელებმა — 1:0. გოლის ავტორია კოკაია.

### „ბ“ კლასი

9 მაისს შედგა მორიგი ტურის მატჩები რსფსრ-ს ზონებში. მოგვყავს ამ შეხვედრათა ტექნიკური შედეგები:

III ზონა. „დილა“ (გორი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:1, „ტორპედო“ (არმავირი) — „არაზი“ (ნახიჭევანი) 4:0, „უროჟაი“ (ლაბინსკი) — „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) 0:0, „უროჟაი“ (მაიკოპი) — „დაშკინი“ (ზაქათალა) 5:0, „ურალანი“ (ელისტა) — „ენერგია“ (ვოლჟსკი) 1:1, „უროჟაი“ (სვეტლოგრადი) — „ხიმიკი“ (ბალაკოვო) 0:0, „უროჟაი“ (ალექსანდროვსკაია) — „ტრუდი“ (ენგელსი) 1:0, „სპარტაკი“ (ორიოლი) — „უროჟაი“ (სლავიანსკი) 1:0, „შრ. რეზერვები“ (კურსკი) — „უროჟაი“ (ლენინგრადსკაია) 3:0, „სპარტაკი“ (ბელგოროდი) — „ხიმიკი“ (ნევინომინსკი) 2:1.

IV ზონა. „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 4:1, „უროჟაი“ (გროზნო) — „ლორი“ (კიროვაკანი) 0:0, „ირისტონი“ (მოზდოკი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:1, „უროჟაი“ (დერბენტი) — „სპარტაკი“ (კისლოვოდსკი) 1:1, „ტრუდი“ (კასპიისკი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 0:0, „ნადიკვარი“ (თელავი) — „უროჟაი“ (კრიმსკი) 1:1.

• • •

### 2:0

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ლანჩხუთის „გურიისა“ და ზუგდიდის „ენგურის“ ფეხბურთელთა ორთაბრძოლა, რომელიც 9 მაისს ჩატარდა. თამაშის დაწყებიდან 3 წუთიც არ იყო გასული, რომ სტუმრებმა ორჯერ მოაწოდეს კუთხური. შემდეგ საპასუხო შეტევაზე მასპინძლები გადავიდნენ და სულ მალე წარმატებასაც მიაღწიეს. ეს მოხდა მე-5 წუთზე. კოხრეიძემ განახორციელა გრძელი რეიდი, გვერდი აუარა მეტოქის რამდენიმე მცველს და ძლიერად დაარტყა კარში. „ენგურის“ მეკარე ბურთს ხელით შეეხო, მაგრამ ამაოდ — 1:0.

10 წუთის შემდეგ ზუგდიდელებმა კვლავ ცენტრიდან დაიწყეს თამაში: მარჯვენა ფრთიდან გარღვევაზე გასულმა ძიძიგურმა კარის გასწვრივ ჩააწოდა დაბალი ბურთი, რომელსაც მოუსწრო იმავე კოხრეიძემ და ანგარიშიც ორამდე გაზარდა. ეს შედეგი თამაშის დამთავრებამდე უცვლელი დარჩა.

ი. ებრალიძე.
(ჩვენი კორ.).

ლანჩხუთი.

# „პრავდის“ პრიზზე

მეშვიდედ გათამაშდა გაზეთ „პრავდის“ პრიზი კროსში. საკავშირო ასპარეზობის ფინალი მოეწყო მოსკოვის იპოდრომზე გამარჯვების დღეს — 9 მაისს.

ჯერ კიდევ ფინალური შეჯიბრებების დაწყებამდე დამყარდა პირველი რეკორდები: მოასპარეზეთა რიცხვმა პირველად გადააჭარბა ათასს, ხოლო ტურნირის მონაწილე ქალაქების რიცხვმა მიაღწია არნახულ ციფრს — 68!

17-18 წლის გოგონებში ყველას აჯობა ვილნიუსელმა ნ. საბაიტემ, რომელმაც 1000 მეტრის გარბენას 2 წუთი და 55,4 წამი მოანდომა. იგი ახალბედა როდია ასეთ შეჯიბრებებში: შარშან საბაიტემ III საპრიზო ადგილი დაიკავა და სპორტის ოსტატობაც მოიპოვა უძლიერესთა გარბენში, რომელიც მოსკოვში მოეწყო. 2 კმ-ზე მორბენალ ქალებში უძლიერესი იყო კრასნოდარელი ლ. ბრაგინა. 100 მეტრზე ვეტერან ქალთა (35 წლის ზევით) შეჯიბრებაში დიდხანს წინ იყვნენ წარსულში ცნობილი მორბენლები: რიგელი ა. ალკსნე, კიშინიოველი ქ. ნიკოლაევა და მოსკოველი ნ. ოტკალენკო. ფინიშამდე 300 მეტრი რომ დარჩა, რიგელი წინ გაიჭრა და მოიგო კიდეც რბენა — 3.11,4.

17-18 წლის ჭაბუკები 3 კმ-ზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. დნეპროპეტროვსკელ ვ. ფალელეევის შედეგი (8.50,4) დიდხანს საუკეთესო იყო, მაგრამ ასპარეზობის მიწურულს რიაზანელმა ვ. კუზნეცოვმა 8.46,0 აჩვენა და პირველობაც დაისაკუთრა.

ვაჟთა ყველაზე დიდ დისტანციაზე — 8 კილომეტრზე რბენაში გაიმარჯვა კიეველმა ბ. სვეშნიკოვმა — 23.18,2.

ვეტერან ვაჟთა (45 წლის ზევით) შეჯიბრება 8 კილომეტრზე რბენაში მოიგო მოსკოველმა ლ. არტიუხოვმა, რომელმაც ზუსტად 10 წუთი აჩვენა და ჩამოიტოვა სარბენი ბილიკის წარსულში ცნობილი ოსტატები ვ. კაზანცევი და ა. პუგაჩევსკი.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რსფსრ-ს კროსმენებმა.

უხეიროდ გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენები, რომლებმაც 17 გუნდში XIV ადგილი დაიკავეს.

# ლიდერთა პაექრობა

**საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო პირველობაში 14 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ლომაია — 11 (1), ა. ბოკუჩავა — 10, ზ. მიქაძე — 9,5 (2), ბ. ბურბნიძე — 9,5 (1), რ. ჯინჯიხაშვილი — 9 (1), ე. უბილავა — 8 (2).**

XIV ტური. ბოკუჩავა — გ. მაჭავარიანი 1:0, ს. მეგრელიშვილი — ა. წერეთელი 0,5:0,5, ა. ბრეიტმანი (ტყვარჩელი) — გ. კალატოზიშვილი 0,5:0,5, თ. გიორგაძე — მ. არჩვაძე (სამტრედია) 0:1.

პირველობის ფინიშზე ერთმანეთს ჩემპიონობის მაძიებელნი ხვდებიან. ბუნებრივია, რომ ყოველი შეხვედრა უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობს.

საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი ჯინჯიხაშვილი ძალზე აგრესიულად იყო განწყობილი, მით უმეტეს, რომ თეთრებით თამაშობდა. ბრძოლაც ძალიან მწვავედ გაჩაღდა. საკმარისია ითქვას, რომ ბოლოს, პარტიის გადადების წინ, ჯინჯიხაშვილს ლაზიერი და 5 პაიკი, ხოლო ლომაიას ეტლი, კუ და სამი პაიკი დარჩა. უპირატესობა, რასაკვირველია, ჯინჯიხაშვილის მხარესაა, მაგრამ ამ უპირატესობის რეალიზება არც თუ იოლია.

არანაკლები თავგამოდებით იბრძოდნენ უბილავა და გურგენიძე. საინტერესოა, რომ ბოლო ხანებში უბილავა თავის გამოცდილ მეტოქესთან მეცადინეობს თეორიაში. ინგლისურ დაცვაში, რომელსაც იგი კარგადაა დაუფლებული, პოზიცია თავიდანვე ძალზე გართულდა. კრიტიკულ სიტუაციაში უბილავამ პაიკი დათმო, მაგრამ იერიში ვერ მიიღო. მაშინ მან სამ პაიკში ფიგურა შესწირა. პარტია გადაიდო. მხოლოდ თამაშის განახლებისას გაირკვევა, სწორია თუ არა უბილავას ჩანაფიქრი.

მიქაძეს მუკნიაშვილთან უკეთესი შანსი ჰქონდა, მაგრამ ვერ ისარგებლა ამით. დაუმთავრებელ პარტიაში მას, როგორც მინიმუმი, მუდმივი ქიში აქვს.

შედარებით იოლად მოიპოვა ქულა ბოკუჩავამ. ფინიშზე მაჭავარიანი ძალზე წარუმატებლად გამოდის (ოთხი პარტია წააგო ზედიზედ). როგორც ადრე სხვებთან, მან ბოკუჩავასთანაც პერსპექტიული პოზიცია მიიღო, მაგრამ შეტევის მიზანდასახული გეგმა ვერ მონახა და დამარცხდა.

არჩვაძის დასკვნითმა კომბინაციამ მრავალრიცხოვან მაყურებელს სიამოვნება მოჰგვარა. სამტრედიელ ინჟინერს




პირველობის დღეებში ოსტატობის კანდიდატის წოდება მიენიჭა. ფრანგულ დაცვაში გიორგაძესთან იგი უპრეტენზიოდ თამაშობდა. როცა ოსტატმა საწინააღმდეგო მხარეს გააკეთა როქი, სამტრედიელმა მოჭადრაკემ შეტევა წამოიწყო. მისი ლაზიერი შეიჭრა მეტოქის მეფის განლაგებაში, რომელსაც შემდეგ არჩვაძის ფიგურები დაესხნენ თავს.

ჩემპიონობის საკითხი კვლავ გაურკვეველია. რა თქმა უნდა, ბევრია დამოკიდებული გადადებულ პარტიების დამთავრებაზე, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს დასკვნითი, XV ტურის შეხვედრებს. პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ლომაია — უბილავას პარტია.

თ. გიორგაძე.

## ლარსენს ყაიმი არ სურდა...

**პორეჩი,** 11 მაისი. მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩის — ბ. ლარსენ — ლ. პორტიშის ორთაბრძოლის IV პარტიაში გაიმარჯვა პორტიშმა. თამაშზე დამსწრე სპეციალისტები გაოცებული დარჩნენ, როცა სრულიად თანაბარ პოზიციაში ლარსენმა არ მიიღო შემოთავაზებული ყაიმი და... საბოლოოდ დამარცხდა. მატჩის ანგარიშია 2,5:1,5 ლარსენის სასარგებლოდ.

# კარგი სტარტი

**საქართველოს ქალთა საერთაშორისო ტურნირში გამოჩნდნენ პირველი ლიდერები: ე. კაკაბაძე, ა. ჩაიკოვსკაია და კ. სკეგინა (მოსკოვის ოლქი) — თითო ქულა.**

I ტური. ნ. ხუბულური — ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი) 0,5:0,5, კ. ვრეკენი (ჰოლანდია) — ჩაიკოვსკაია 0:1, ე. ნიუნბერტი (გდრ) — სკეგინა 0:1, მ. სანაძე — თ. ხუგაშვილი 0,5:0,5, ტ. ზატულოვსკაია (ბაქო) — ქ. რაძიკოვსკა (პოლონეთი) 0,5:0,5, კ. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია) — ც. კახაბრიშვილი 0,5:0,5, კაკაბაძე — ჟ. ვერეცი (უნგრეთი) 1:0.

მსოფლიო პირველობის მაძიებლებმა ჩეხოსლოვაკიელმა ერეტოვამ და რუმინელმა პოლიქრონიადემ სცადეს უპირატესობის მიღება მანევრულ ჭიდილში, მაგრამ საქართველოს ჩემპიონმა კახაბრიშვილმა და ხუბულურმა აუღელვებლად უვნებელყვეს ყველა მუქარა. როცა თამაში ძალზე გამარტივდა მეტოქეები დაზავდნენ.

— ჩაიკოვსკაიას გაუჭირდება იერიშის მოგერიება, — ამბობდნენ თბილისელი ოსტატის ქომაგნი. მათ ალბათ დაავიწყდათ, რომ ჩაიკოვსკაია კონტრდარტყმის საუცხოო ორგანიზატორია. ასეც მოხდა. ვრეკენი ყოყმანობდა, ვერ ბედავდა კომბინაციური იერიშის დაწყებას. ამასობაში ჩაიკოვსკაიამ გახსნა ხაზები ლაზიერის ფრთაზე და მძიმე ფიგურებით ჰოლანდიელის პოზიციაში შეიჭრა. ამან კიდეც გადაწყვიტა პარტიის ბედი.

მეთოდურად იბრძოდა კაკაბაძე. პაიკის დაკარგვის შემდეგ უნგრელი ოსტატი შეეცადა მეტოქის მეფეს დასხმოდა თავს. მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. პირიქით, ენდშპილში გადასვლისას ხაშამათო ქსელში თვით მისი მეფე აღმოჩნდა.

კობაიძე—ალექსანდრიას შეხვედრაში საერთაშორისო ოსტატი დიდხანს ინარჩუნებდა უპირატესობას. მოახლოებულ ცაიტნოტში ალექსანდრია მწარედ შეცდა: ფიგურა უნდა წაეგო, მაგრამ კობაიძემ ეს ვერ შენიშნა და მხოლოდ ხარისხი მოიგო. პარტია გადაიდო.

ჩვენი მოჭადრაკეებისთვის ტურნირი კარგად დაიწყო. მაშასადამე, შომავალსაც იმედით უნდა შევხედოთ.




ეროვნული ბიბლიოთეკა



ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის „დინამო“, 1950 წლის ჩემპიონი. მარცხნიდან — შ. ქორქაშვილი, ლ. ინწკირველი, გ. რუხაძე, ს. თორთლაძე, ჯ. ნიჟარაძე, ვ. ულენტი, ნ. ჯორჯიკია, დ. გოძიაშვილი, ო. ქორქია.

# ასე იწერებოდა ბიოგრაფია

თბილისის „დინამო“ არა მარტო ქართული კალათბურთის სიამაყეა. მან განუზომელი ამაგი დასდო საბჭოთა კალათბურთს, რომლის ავანგარდშიც იყო მუდამ. პირველ დიდ წარმატებას დინამოელებმა მიაღწიეს 1949 წელს, როცა დაეპატრონენ სსრ კავშირის თასს (თბილისელები ამ საპატიო ჯილდოს პირველი მფლობელები არიან). ერთი წლის შემდეგ „დინამომ“ ხელახლა მოიპოვა თასი და ეს უდავოდ დიდი წარმატება განამტკიცა კიდევ უფრო ბრწყინვალე გამარჯვებით საკავშირო ჩემპიონატში.

„დინამომ“ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები კიდევ ორჯერ მოიპოვა — 1953 და 1954 წლებში, ხოლო 1962 წელს ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი გუნდი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა.

აი, როგორია „დინამოს“ წარმატებათა „მოკლე ბიოგრაფია“:

**1949 წ. „დინამო“ — სსრ კავშირის თასის მფლობელი.** დაამარცხა პეტროზავოდსკის ნაკრები (99:36), კიევის ოფიცერთა სახლი (52:25), ტარტუს უსკა (25:24) და რიგის „დინამო“ (24:19). „დინამოს“ შემადგენლობა: ა. მესხი, ო. ქორქია, ს. თორთლაძე, შ. ქორქაშვილი, ჯ. ნიჟარაძე, დ. გოძიაშვილი, მ. კეკელიძე, ლ. ინწკირველი, გ. რუხაძე, თ. მეძმარიაშვილი. მწვრთნელი — შ. დიასამიძე.

**1950 წ. „დინამო“ — სსრ კავშირის თასის მფლობელი.** ჩვენმა გუნდმა თანმიმდევრულად დაამარცხა: ერევნის სკიფ-ი (71:31), ბაქოს „დინამო“ (47:36), ოდესის „ნაუკა“ (39:31). ტარტუს უსკა სათამაშოდ არ გამოცხადდა და ამიტომ გამარჯვება დინამოელებს ჩაეთვალათ. ფინალში ჩვენმა კალათბურთელებმა მოუგეს მოსკოვის თანაკლუბელებს — 49:36. „დინამო“: ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, ლ. ინწკირველი, ჯ. ნიჟარაძე, დ. გოძიაშვილი, ა. მესხი, ვ. ულენტი, შ. ქორქაშვილი, თ. მეძმარიაშვილი, გ. რუხაძე. მწვრთნელი — გ. ავალიშვილი.

**1950 წ. „დინამო“ — სსრ კავშირის ჩემპიონი.** წინასწარი თამაშები. დინამოელებმა დაამარცხეს: ყაზანის „სპარტაკი“ (57:40), ოდესის „ნაუკა“ (71:43), ალმა-ათის „ბოლშევიკი“ (86:41). ნახევარფინალები. დაამარცხეს ლენინგრადის „დინამო“ (71:39), ლენინგრადის ოფ. სახლი (46:39), მოსკოვის „დინამო“ (24:21), მოსკოვის „ლოკომოტივი“ (56:29), წააგეს მოსკოვის ვვს-თან — 34:72 (ამ შეხვედრას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან „დინამო“ ფინალში გასული იყო). ფინალურ ტურნირში თბილისელთა გუნდმა ყველა მეტოქეს მოუგო: ტარტუს უსკა-ს — 34:31, კაუნასის „ჟალგირისს“ — 25:20, ვვს-ს — 36:34. „დინამო“: ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, ჯ. ნიჟარაძე, ლ. ინწკირველი, ვ. ულენტი, დ. გოძიაშვილი, შ. ქორქაშვილი, ა. მესხი, ს. თორთლაძე, გ. რუხაძე. მწვრთნელი — გ. ავალიშვილი.

**1953 წ. „დინამო“ — სსრ კავშირის ჩემპიონი.** ცდსა — 58:45, კაუნასის „ჟალგირისი“ — 52:43, რიგის ოფ. სახლი — 57:54, მოსკოვის „დინამო“ — 45:39, მოსკოვის „სპარტაკი“ — 54:29, ტალინის „კალევი“ — 75:56, ლენინგრადის „ნაუკა“ — 84:69, კიევის ოფ. სახლი — 73:59, როსტოვის ნაკრები —99:54, კიევის „ნაუკა“ — 65:35, ერევნის „ისკრა“ — 50:45. „დინამო“: ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, ლ. ინწკირველი, ვ. ულენტი, ა. კილაძე, გურამ აბაშიძე, გივი აბაშიძე, ვ. გვანცელაძე, ჯ. ნიჟარაძე, მ. ეგნოვი, გ. მინაშვილი. მწვრთნელი — გ. ავალიშვილი.

**1954 წ. „დინამო“ — სსრ კავშირის ჩემპიონი.** ცდსა — 65:62, კაუნასის „ჟალგირისი“ — 62:48, რიგის ოფ. სახლი — 69:54, მოსკოვის „დინამო“ — 81:68, მოსკოვის „სპარტაკი“ — 50:36, კიევის ოფ. სახლი — 49:44, ტალინის „კალევი“ — 43:30, როსტოვის „სპარტაკი“ — 51:43, კლაიპედას „ჟალგირისი“ — 54:41. „დინამო“: ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, ვ. ულენტი, ლ. ინწკირველი, ა. კილაძე, გურამ აბაშიძე, გივი აბაშიძე, ჯ. ნიჟარაძე, ვ. გვანცელაძე, მ. კვაჭანტირაძე, ო. კუჭავა, მ. ასიტაშვილი. მწვრთნელი—გ. ავალიშვილი.

**1962 წ. „დინამო“ — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი.** დინამოელებმა დაამარცხეს რუმინეთის ცკა — 77:76 და 82:77, თურქეთის „დარუშაფაკა“ — 80:67 და 84:48, მოსკოვის ცსკა — 75:71 და 77:66, მადრიდის „რეალი“ 90:83. „დინამო“: გ. მინაშვილი, ა. კილაძე, ი. ხაზარაძე, ლ. ინწკირველი, რ. გოგელია, ვ. ალთაბაევი, ა. სხიერელი, ვ. უგრეხელიძე, ა. ლექავა, ლ. მოსეშვილი, ა. პეტროვი. მწვრთნელი — ო. ქორქია.

## ციფრები და ფაქტები

**თბილისის „დინამო“: თამაში — 44, მოგება — 31, წაგება — 13, ბურთების სხვაობა — 3268—3063, ქულა — 31.**

● დინამოელებმა თავის მოედანზე 17 თამაში მოიგეს და 3 წააგეს. მეტოქის მოედანზე აიღეს 11 ქულა, ხოლო 9 შეხვედრა დათმეს (4 მატჩის შედეგი თბილისის „ბურევესტნიკთან“ ანგარიშში არ არის მიღებული).

● „დინამომ“ ოთხივე შეხვედრა მოუგო ბაქოს „ბურევესტნიკს“. სამ-სამჯერ დაამარცხა თბილისის „ბურევესტნიკი“, კიევის ასკ, ლენინგრადის „სპარტაკი“, ტარტუს „კალევი“, რიგის ვეფ-ი, რიგის ასკ, სვერდლოვსკის „ურალმაში“. ჩემპიონს 3 გუნდთან 50-პროცენტიანი ბალანსი აქვს. ესენი არიან: ცსკა, კიევის „სტროიტელი“ და კაუნასის „ჟალგირისი“.

● „დინამომ“ 1 ქულის სხვაობით წააგო 1 მატჩი (ვეფ-თან რიგაში), 2 ქულის სხვაობითაც — ერთი თამაში („სპარტაკთან“ — ლენინგრადში), 3 ქულის სხვაობით — 2 შეხვედრა („სტროიტელთან“ კიევში და „ურალმაშთან“ სვერდლოვსკში), 4 ქულის სხვაობით — 1 მატჩი („ჟალგირისთან“ — კაუნასში), 7 ქულის სხვაობითაც — 1 თამაში (ასკ-სთან რიგაში), 8 ქულის სხვაობით — 3 შეხვედრა („ჟალგირისთან“ კაუნასში, ცსკა-სთან მოსკოვში, „სტროიტელთან“ თბილისში), 9 ქულის სხვაობით — 1 მატჩი (თბილისის „ბურევესტნიკთან“), 11 ქულის სხვაობით — 1 თამაში (ასკ-სთან კიევში), 12 ქულის სხვაობით — 1 შეხვედრა („კალევთან“ — ტარტუში) და 19 ქულის სხვაობით — 1 მატჩი (ცსკა-სთან — თბილისში).

● გატანილი ბურთების მიხედვით თბილისის „დინამო“ II ადგილზეა ბაქოს „ბურევესტნიკის“ შემდეგ. აზერბაიჯანელებმა გაიტანეს 3280 ბურთი, დინამოელებმა კი 3268. მიღებული ბურთებით ჩემპიონი მხოლოდ VIII ადგილზეა.

● „დინამოს“ მიღებული და გატანილი ბურთების აბსოლუტურად საუკეთესო სხვაობა აქვს + 205.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამარჯვების 44 საფეხური

სსრ კავშირის 1968 წლის ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ პირ[...] კალენდარული მატჩი ჩაატარა შარშან, 1 დეკემბერს, ბოლო შეხ[...] კი ამა წლის 29 აპრილს კაუნასში. აი, დინამოელთა სატურნირო გზ[...] ის 44 საფეხური, გუნდი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე რომ[...] ვანა.

**„დინამო“ — „ბურევესტნიკი“ (თბ.). 63:56, 94:71, 75:71, [...] საერთო ანგარიშია 3:1 „დინამოს“ სასარგებლოდ. ბურთების სხვაო[...] 301—276**

**„დინამო“ — ცსკა 68:64, 53:72, 63:71, 68:60. 2:2, 252—267**

**„დინამო“ — „სტროიტელი“ 62:70, 60:46, 66:69, 66:64. 254—249**

**„დინამო“ — ასკ (კიევი) 53:48, 69:58, 83:72, 58:69. 3:1, 263[...]**

**„დინამო“ — „ბურევესტნიკი“ (ბაქო) 108:90, 116:78, 85:74, [...] 4:0, 393 — 319.**

**„დინამო“ — „სპარტაკი“ 65:67, 66:62, 77:71, 68:64. 3:1, 276[...]**

**„დინამო“ — კალევი“ 78:85, 64:58, 67:60, 71:69. 3:1, 275—[...]**

**„დინამო“ — ვეფ 74:75, 81:73, 86:76, 80:74. 3:1, 321 — 298**

**„დინამო“ — ასკ (რიგა) 76:75, 79:86, 81:70, 75:71. 3:1, 311[...]**

**„დინამო“ — „ჟალგირისი“ 79:85, 68:72, 80:75, 70:78. 2:2, 297[...]**

**„დინამო“ — „ურალმაში“ 84:64, 87:66, 77:69, 77:80. 3:1, 325[...]**

## წარმატებას ვულოცავ!

...მინდა მივულოცო დინამოელთა უფროს მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ლ. ინწკირველს, რომელმაც შეადუღაბა გუნდი და ახალგაზრდებისა და ვეტერანებისაგან ჩინებული კოლექტივი შექმნა. ლ. ინწკირველი სათადარიგოთა სკამზე დიდი ხნით არ სვამდა ახალგაზრდა კალათბურთელებს მ. ქორქიას, ვ. ნარიმანიძეს, რ. მამალაძესა და სხვებს.

ახალგაზრდობამ მოედანზე აზარტი მოიტანა, ხოლო ვეტერანებმა გუნდის მოქმედებას სიბრძნე შემატეს. მწვრთნელმა ერთმანეთს შეუთანხმა გუნდისა და ცალკეულ მოთამაშეთა ნებისყოფა, რაც წარსულში ამ კოლექტივს ხშირად აკლდა. „დინამო“ ლამაზი ჩემპიონია.

**ა. ალაჩაჩიანი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**



# ლაურ[...]

**მიხეილ ქორქია.** დაბადებული 1948 წ., სიმაღლე — 196 სმ. სა[...] ლო-სამეურნეო ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი. „დინამოშია“ [...] წლიდან.

**ამირან სხიერელი.** 1941 წ., 199. ფიზკულტურის ინსტიტუტ[...] კურსი. „დინამოში“ — 1960 წ.

**ანზორ ლექავა.** 1936 წ., 209. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტ[...] V კურსი. „დინამოში“ — 1960 წ.

**ვალერი ალთაბაევი.** 1940 წ., 196. ინჟინერ-მექანიკოსი, „დინ[...] ში“ — 1958 წ.

**ვლადიმერ უგრეხელიძე.** 1939 წ., 192. სასოფლო-სამეურნეო ინს[...] ტუტის VI კურსი. „დინამოში“ — 1958 წ.

**ლევან მოსეშვილი.** 1940 წ., 195. სასოფლო-სამეურნეო ინსტ[...] ტის VI კურსი. „დინამოში“ — 1958 წ.

**ანტონ კაზანჯიანი.** 1940 წ., 188. უნივერსიტეტის III კურსი, [...] ნამოში“ — 1959 წ.



ლ. ინწკირველი. ზ. ავალიშვილი. ა. სხიერელი. ა. ლექავა. ვ. ალთაბაევი. ვ. უგრეხელიძე. მ. ქორქია. ლ. მოსეშვ[...]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალათბურთი

## პროგრამა-მინიმუმი შესრულდა

თბილისის „ბურევესტნიკმა" ჩემპიონატში X ადგილი დაიკავა. სტუდენტთა ახალგაზრდულ კოლექტივს, რა თქმა უნდა, შეეძლო უკეთესი შედეგის ჩვენებაც, მაგრამ ჩემპიონატის ფინიშზე მას გამოაკლდა ცენტრალური თავდამსხმელი ს. კოვალენკო. ეს გუნდისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო. და მაინც, „ბურევესტნიკმა" წარმატებით შეასრულა თავისი პროგრამა-მინიმუმი, რომელიც „ა" კლასის უმაღლეს ლიგაში დარჩენას გულისხმობდა. გადავხედოთ ბურევესტნიკელთა გზას ჩემპიონატში:

**„ბურევესტნიკი" — „დინამო" 56:63, 71:94, 71:75, 78:69. 1:3, 276—301**

**„ბურევესტნიკი" — ცსკა 59:61, 65:58, 58:77, 70:84. 1:3, 252—280**

**„ბურევესტნიკი" — „სტროიტელი" 54:59, 62:56, 65:70, 66:65. 2:2, 247—250**

**„ბურევესტნიკი" — ასკ (კიევი) 70:64, 78:51, 65:78, — :+. 2:2, 213—193**

**„ბურევესტნიკი" — „ბურ". (ბაქო) 54:56, 61:60, 71:72, 97:76. 2:2, 288—264**

**„ბურევესტნიკი" — „სპარტაკი" 59:68, 74:88, 75:72, 74:73. 2:2, 282—296**

**„ბურევესტნიკი" — „კალევი" 49:58, 75:56, 55:63, 62:58. 2:2, 241—235**

**„ბურევესტნიკი" — ვეფ 72:68, 61:74, 60:78, 58:70. 1:3, 251—280**

**„ბურევესტნიკი" — ასკ (რიგა) 69:78, 69:79, 65:70, 71:69. 1:3, 274—291**

**„ბურევესტნიკი" — „ჟალგირისი" 77:57, 54:61, 52:63, 62:61. 2:2, 245—242**

**„ბურევესტნიკი" — „ურალმაში" 67:43, 58:47, 61:63, 61:58. 3:1, 242—206**



სურათზე: თბილისის არმიელთა გუნდი, სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი. მარცხნიდან — ლ. ძეკონსკი, ს. ოგანეზოვი, ბ. სარქისოვი, გ. გუპალოვი, ნ. ჯორჯიკია.

## დიდების სათავეებთან

საქართველოს კალათბურთის ისტორია მხოლოდ თბილისის „დინამო" როდია. დინამოელთა წარმატება აღმოცენდა იმ ბრწყინვალე ტრადიციებზე, რაც რამდენიმე ათეული წლის წინათ უხვად ასაზრდოებდა ახლად ფეხადგმულ საბჭოთა კალათბურთს. სწორედ იმ პერიოდიდან მოყოლებული, ჩვენი რესპუბლიკის გუნდები (თბილისის ოფიცერთა სახლი, ქუთაისის „დინამო" და სხვ.) მუდამ მოწინავეთა რიგებში იდგნენ, ხოლო 1944 და 1946 წლებში სსრ კავშირის ჩემპიონის უმაღლესი წოდებაც კი დაიმსახურეს.

ამ დიდ წარმატებას მიაღწია თბილისის არმიელთა კოლექტივმა, რომელიც 1944 წელს წითელი არმიის სახლის (დკა) გუნდად იწოდებოდა, 2 წლის შემდეგ კი თბილისის ოფიცერთა სახლის კლუბად. აი, როგორი გახლდათ ჩემპიონის სავიზიტო ბარათი:

**1944 წ.** ჩემპიონი — თბილისის დკა, რომელმაც დაამარცხა ბაქოს „დინამო" 53:29, ლენინგრადის „ზენიტი"—53:12, მოსკოვის „სტროიტელი" — 45:19, მოსკოვის „დინამო" — 36:29, მოსკოვის „ლოკომოტივი" — 40:28, ქუთაისის „დინამო" — 34:27. გუნდის შემადგენლობა: ლ. ძეკონსკი, ნ. ჯორჯიკია, მ. ფილიპოვი, ბ. სარქისოვი, ს. ოგანეზოვი, მ. ერმაკოვი, გ. ზახლიანი, მწვრთნელი — გ. მეუნარგია.

**1946 წ.** ჩემპიონი — თბილისის ოფიცერთა სახლი. მან დაამარცხა ლენინგრადელი არმიელები 35:24, მოსკოვის „დინამო" — 29:24, ტალინის „კალევი" — 37:32, ხარკოვის ნაკრები — 36:18, კაუნასის „ჟალგირისი" — 28:23, ცდკა — 30:27, მოსკოვის „სპარტაკი" — 47:12, ქუთაისის „დინამო" — 64:21, თბილისის „დინამო" — 34:28. გუნდის შემადგენლობა: ლ. ძეკონსკი, ნ. ჯორჯიკია, ბ. სარქისოვი, თ. სულაბერიძე, მ. ფილიპოვი, ს. ოგანეზოვი, გ. გუპალოვი, ა. ყაჩაძე, გ. ახვლედიანი. მწვრთნელი — გ. მეუნარგია.

## ციფრები და ფაქტები

**თბილისის „ბურევესტნიკი":** თამაში — 44, მოგება — 19, წაგება — 25, ბურთების სხვაობა — 2806 — 2838, ქულა — 19.

● ბურევესტნიკელებმა თავის მოედანზე 12 მატჩი მოიგეს და 8 წააგეს, მეტოქის მოედანზე კი აიღეს 6 ქულა, დაკარგეს — 14 (4 მატჩის შედეგს თბილისის „დინამოსთან" ანგარიშში არ ვიღებთ).

● „ბურევესტნიკმა" ვერც ერთ გუნდს ვერ მოუგო ოთხივე შეხვედრა. მან 3-ჯერ დაამარცხა მხოლოდ სვერდლოვსკის „ურალმაში", სამაგიეროდ, 50-პროცენტიანი ბალანსი აქვს კიევის „სტროიტელთან" და ასკ-სთან, ბაქოს „ბურევესტნიკთან", ლენინგრადის „სპარტაკთან", ტარტუს „კალევთან" და კაუნასის „ჟალგირისთან". ჩვენმა კალათბურთელებმა უარყოფითი ბალანსით (1:3) დაამთავრეს ჩემპიონატი თბილისის „დინამოსთან", ცსკა-სთან, რიგის ვეფ-თან და ასკ-სთან.

● „ბურევესტნიკმა" 1 ქულის სხვაობით წააგო 1 მატჩი (ბაქოს „ბურევესტნიკთან" თბილისში), 2 ქულის სხვაობით — 3 შეხვედრა (ცსკა-სთან თბილისში, „ბურევესტნიკთან" ბაქოში და „ურალმაშთან" სვერდლოვსკში), 4 ქულის სხვაობით — ასევე 3 მატჩი (თბილისის „დინამოსთან", „სპარტაკთან" ლენინგრადში და ასკ-სთან რიგაში), დანარჩენი შეხვედრები სტუდენტებმა წააგეს 5 და მეტი ქულის სხვაობით.

● გატანილი ბურთების მიხედვით თბილისელი კალათბურთელები ბოლო ადგილზე არიან, სამაგიეროდ, მიღებული აქვთ მხოლოდ 2838 ბურთი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გუნდის დაცვითი ხაზი სჯობდა თავდასხმას.



სურათზე: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის („ბურევესტნიკი") კალათბურთელები. დგანან (მარცხნიდან) ი. ლეჟავა, გ. ჯუღელი, ზ. მხეიძე, გ. ქათამაძე, ნ. ფირცხალაიშვილი, ე. მაისურაძე, ლ. ჩხიკვაძე. პირველ რიგში—გ. არუთინოვი, ა. გლურჯიძე, ვ. ლომაძე, გ. ბიჭიაშვილი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## „ახალ ჩემპიონს ვაშა!"—

### თბილისის „დინამოს" გულშემატკივრები"

დეპეშა მიმოწერის ყველაზე ლაკონიური ფორმაა, მაგრამ ასეთი ბარათი რედაქციას არასდროს მიუღია. 24 აპრილს, დილის 10 საათზე ფოსტალიონმა მოიტანა დეპეშა, რომელმაც თითქმის მოხსნა გულუბრყვილობის ჩვეულებრივი რეკორდი (გაიხსენეთ ვანკა ჟუკოვის ცნობილი წერილი). თუმცა ამ დღეს ბარათის შინაარსი დამატებით განმარტებას არ საჭიროებდა. ახალი ჩემპიონი თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდი გახლდათ, გულშემატკივრები კი ჩვენ ყველანი — სახელოვანი კოლექტივის მრავალათასიანი აუდიტორია.

დეპეშა და წერილი ბევრი მოვიდა. გვწერდნენ ცალკეული პიროვნებები, კოლექტივები. მილოცვის ბარათებს ჩვენ, რა თქმა უნდა, გუნდს გადავცემთ, მაგრამ ერთ-ერთი აქვე გვინდა გაგაცნოთ.

ერთ-ერთი პირველი წერილობითი მილოცვა ქუთაისურია. სპორტის ოსტატი შ. მესხი ძველი „დინამოს" ვეტერანთა სახელით გულითად მადლობას უხდის ახალგაზრდა თბილისელ კოლეგებს სიხარულისა და სიამოვნებისთვის.

ახალ ჩემპიონს გამარჯვება მიულოცეს მოსკოვის კუიბიშევის სახელობის საამშენებლო ინსტიტუტისა და ლენინგრადის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა, ექიმთა ერთმა ჯგუფმა ხარკოვიდან, გულშემატკივრებმა ქერჩიდან და ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან.

## ატები

**ვაჟა ნარიმანიძე.** 1945 წ., 178. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის IV კურსი. „დინამოში" — 1965 წ.

**სერგო მალალაშვილი.** 1938 წ., 205. ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული. „დინამოში" — 1961 წ.

**ბონდო ბოლქვაძე.** 1944 წ., 205. პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსი. „დინამოში" — 1965 წ.

**ზურაბ ქარაბაკი.** 1948 წ., 194. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის III კურსი. „დინამოში" — 1966 წ.

**რევაზ მამალაძე.** 1947 წ., 198. პოლიტექნიკური ინსტიტუტის II კურსი. „დინამოში" — 1965 წ.

**თამაზ ჩიხლაძე.** 1949 წ., 186. პოლიტექნიკური ინსტიტუტის I კურსი. „დინამოში" — 1968 წ.

**ზურაბ ლეონტიევი.** 1947 წ., 185. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის II კურსი. „დინამოში" — 1967 წ.



ჯ. კაზანჯიანი.



ვ. ნარიმანიძე.



ს. მალალაშვილი.



ბ. ბოლქვაძე.



ზ. ქარაბაკი.



რ. მამალაძე.



თ. ჩიხლაძე.



ზ. ლეონტიევი.

საქართველოს პირველობა რეგბიში

# ჩემპიონი ცნობილი არ არის

გუშინწინ განმეორებით ჩატარდა ქუთაისისა და „განთიადის" გუნდების გაპროტესტებული მატჩი. ამ შეხვედრით დამთავრდა საქართველოს რეგბისტთა რიგით მეორე პირველობა. როგორც მოსალოდნელი იყო, „დინამომ" და „ლოკომოტივმა" IV და V ტურიც წარმატებით ჩაატარეს და საბოლოოდ 9-9 ქულა მოაგროვეს. ვინაიდან ბურთების შეფარდება მხედველობაში არ მიიღება, ჩემპიონის ვინაობას მათ შორის დამატებითი მატჩი გაარკვევს.

მას შემდეგ, რაც IV ტურში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი დამარცხდა „დინამოსთან" (8:62), ხოლო უნივერსიტეტის რეგბისტებმა ქუთაისელებს მოუგეს (11:6), III ადგილზე გასვლის იმედი უნივერსიტეტელებს მიეცათ. მაგრამ საკმარისი იყო პოლიტექნიკურ ინსტიტუტს „განთიადი" დიდი ანგარიშით დაემარცხებინა, რომ იგი ბურთების უკეთესი შეფარდებით დაჯაბნიდა მოცილეს. უნივერსიტეტის რეგბისტებმა „ლოკომოტივთან" მინიმალური ანგარიშით (34:35) წააგეს. ასე რომ, სპი — „განთიადის" შეხვედრის წინ ბურთების საჭირო რაოდენობაც კი ცნობილი იყო. უფერული თამაშით „განთიადმა" (16:80) წააგო და მომავალმა ინჟინრებმა III საპრიზო ადგილი გაინაღდეს.

„განთიადი" წინა ტურშიც დამარცხდა „ლოკომოტივთან" (0:14). მარცხი იწვნიეს ქუთაისელებმაც („დინამოსთან" — 27:0). ერთმანეთთან შეხვედრამდე ამ გუნდებს არც ერთი ქულა არ ჰქონდათ და ჭიდილი ერთობ დაიძაბა. შეხვედრა ფრედ — 11:11 დამთავრდა.

წლევანდელი პირველობა მასობრიობით თუ არა, შედეგიანობით მაინც გამოირჩეოდა. გუნდებმა აშკარად აიმაღლეს თამაშის კლასი. თუ შარშან დინამოელთა კარში არც ერთი ბურთი არ გასულა, წლეულს ამ გუნდმა 18 ჩასათვლელი ქულა უწილადა მეტოქეებს. უთანაბრო ბრძოლა და „მშრალი" ანგარიში იშვიათი იყო.

მონაწილეთა სიმცირის გარდა პირველობას სხვა ნაკლიც ჰქონდა. აფიშები ქალაქში მხოლოდ შეჯიბრების დამთავრების წინადღეს (!) გამოაკრეს. არც მსაჯობა ყოფილა უნაკლო. სპი—„განთიადის" შეხვედრის დროს სანთლით დაეძებდნენ გვერდით მსაჯებს. ბოლოსდაბოლოს, მაყურებლებში ძლივს გამოინახა ერთი მსურველი.

წინადღით კი რეგბის ფედერაციის პლენუმზე დიდი გულახდილი საუბარი გაიმართა. ილაპარაკეს ხარვეზებზე, დასახეს სამერმისო გეგმები, ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები. მეორე დღეს იგივე პლენუმის მონაწილენი ასე უგულისყუროდ მოეკცნენ რესპუბლიკური პირველობის მატჩს.

კარგია, რომ ფედერაციის პლენუმი სწორედ ასპარეზობის დღეებში გაიმართა (სხვათა შორის, რაიონებმა და ქალაქებმა წარმომადგენლებიც კი არ გამოგზავნეს). მოვუსმინოთ რეგბის სპეციალისტებს, რომლებმაც „ცხელ გულზე" დაუფარავად თქვეს თავიანთი სატკივარი:

ბ. მრელაშვილი (ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე): — საქართველოში ჯერ კიდევ უყურადღებოდ ეკიდებიან რეგბის. ქუთაისის გუნდი რომ არა, რესპუბლიკური პირველობის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა. რეგბისტები აღარ ჰყავთ სამედიცინო, პუშკინის პედაგოგიურ და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებს, სპორტკლუბ „განთიადსა" და ფეხსაცმელების № 1 ფაბრიკა „ისანს". გუნდის შექმნას აჭიანურებს ფიზკულტურის ინსტიტუტიც. კვლავ მწვავედ დგას მოედნების საკითხი. სათადარიგო მოედნების მძიმე გრუნტზე ძნელია თამაში. საჭიროა მსაჯთა და მწვრთნელთა რესპუბლიკური სემინარების ჩატარება. აუცილებელია საჩვენებელი თამაშების გამართვა ისეთ რაიონებში, სადაც ლელობურთია განვითარებული. უნდა მოგვარდეს რეგბის ბურთებისა და რეგბისტთა ფორმის მასობრივად გამოშვების საკითხიც.

ნ. ყიფიანი („ლოკომოტივის" გუნდის მწვრთნელი): — ფედერაციამ ცუდად იმუშავა. არც ერთი პირველობის შედეგები სხდომაზე არ განხილულა. არ უმსჯელიათ რეგბის განვითარების კონკრეტულ საკითხებზე. საქართველოს პირველობა უნდა ჩატარდეს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში.

ა. მელითაური (უნივერსიტეტის გუნდის მწვრთნელი): — საწვრთნელი ბაზა არა გვაქვს, ზამთრობით სპორტულ დარბაზს არ გვითმობენ. ვინაიდან მოსამზადებელი სემინარები არ ტარდება, აღარც საზოგადოებრივი მსაჯები გვყავს. ამასვე უნდა მიეწეროს ზოგიერთი მსაჯის დაბალი კვალიფიკაციაც.

გ. ჩხეილაშვილი (მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე): — 4-5 წლის წინათ ბევრი შეჯიბრება ტარდებოდა ჩვენს რესპუბლიკაშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ამ ბოლო ხანს ეს საკითხიც მოუგვარებელია, ხშირი შეჯიბრებები კი მსაჯთა მომზადების დონესაც აამაღლებდა.

ვ. ქურციკიძე (ქუთაისის საზოგადოებრივი მწვრთნელი): — ქუთაისს მხოლოდ 18 ახალგაზრდა რეგბისტი ჰყავს. ქალაქში არაა მეორე გუნდი, რომელთანაც ამხანაგური მატჩების ჩატარებას შევძლებდით. სპორტკავშირი და „განთიადის" საქალაქო საბჭო ყოველმხრივ გვეხმარებიან და ვფიქრობთ, ნაკლს დავძლევთ. კარგი იქნება, თუ კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი პირველობა წლეულს გათამაშდება.

ფედერაციის ახალი შემადგენლობის თავმჯდომარედ არჩეულია კ. ქანქალეიშვილი, მოადგილედ — ლ. აკოფოვი.

**თ. ბაჩიჩილაძე.**

* * *



**სურათზე:** უნივერსიტეტისა და სპი-ს გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო ავტორისა.



# მოჰამედ ალი იმედს არ კარგავს

შარშან, ტეხასის შტატის (აშშ) ქალაქ ჰიუსტონის სასამართლომ მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს ზანგ მოკრივეს კასიუს კლეის (მოჰამედ ალი) სამხედრო ვალდებულების მოხდაზე უარის თქმის გამო 5 წლით პატიმრობა და 10 ათასი დოლარი ჯარიმა მიუსაჯა.

ამ დღეებში ახალი ორლეანის სააპელაციო სასამართლომ განაჩენი ძალაში დატოვა. მოჰამედ ალის საქმე განსახილველად გადაეცემა აშშ-ს უმაღლეს სასამართლოს.

მას შემდეგ, რაც ჰიუსტონის ფედერალურმა სასამართლომ გამოიტანა თავისი სამარცხვინო განაჩენი, კასიუს კლეი კარგა ხნით გაუჩინარდა. მართალია, ხანდახან პრესაში გამოჩნდებოდა ცნობა, რომ კლეი ზანგთა უფლებების დაცვისთვის გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობდა, ან მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატობის კანდიდატად არის წამოყენებულიო, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ხმები იყო და არა სინამდვილე.

ამას წინათ კი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მოკრივე კვლავ წარსდგა მილიონობით ტელემაყურებლის წინაშე. სააპელაციო სასამართლოს წინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე კლეი გულახდილად ესაუბრა ჟურნალისტებს. როგორც ჩანს, მას გამართლების იმედი ჰქონდა, მაგრამ მოკრივე ვაჟკაცურად შეხვდა ახალი ორლეანის სააპელაციო სასამართლოს განაჩენს. იმავე დღეს კლეიმ რწმენა გამოთქვა, რომ აშშ-ს უმაღლესი სასამართლო უფრო გონივრული ორგანიზაცია აღმოჩნდება, ვიდრე რასობრივი სიძულვილით დაბრმავებული ჰიუსტონისა და ორლეანის სასამართლოები. „მე კვლავ დავუბრუნდები რინგს, რადგან სიმართლე ჩემს მხარესაა, — განუცხადა მან ჟურნალისტებს, — ხალხს უყვარს კლეი, რომელსაც ვეებერთელა შემოსავალი მოაქვს სახელმწიფოსთვის. არა მგონია, რომ ფინანსთა სამინისტრომ უარი თქვას ოქროს წვიმაზე".

# ესებუას სახელობის თასზე

გორში გაიმართა ფალავანთა საინტერესო შეჯიბრება ნესტორ ესებუას სახელობის თასზე ქართულ ჭიდაობაში. ერთმანეთს შეხვდნენ სამხრეთ ოსეთის, გორის რაიონისა და ქ. გორის ნაკრები გუნდები.

რაიონისა და სამხრეთ ოსეთის მოჭიდავეთა მატჩში უძლიერესი ვერ გამოვლინდა — 4:4. სამაგიეროდ, ქალაქის ნაკრებმა შედარებით ადვილად მოუგო რაიონის გუნდს — 6,5:1,5.

შემდეგ გორელი ფალავნები სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებს შეხვდნენ. აქაც მასპინძელთა უპირატესობა იგრძნობოდა. გორის გუნდმა I ადგილი დაისაკუთრა და მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

**ი. თევდორაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

გორი.

# ახალი ამბები

● **ჰალე, 10 მაისი.** მშვიდობის XXI ველორბოლის მეორე ეტაპი (ბერლინი—ჰალე, 189 კმ) მოიგო ბელგიელმა ნ. ვ. ტიგემმა—4:48.19,0. ორი ეტაპის ჯამში პირად ჩათვლაში ლიდერობს ბელგიელი. საბჭოთა სპორტსმენთაგან ამ ეტაპზე საუკეთესო იყო ვ. ჩერკასოვი (4:50.32,0, V ადგილი).

● **სოხუმი, 10 მაისი.** აქ დამთავრდა სსრ კავშირის უძლიერეს მოფარიკავეთა ტურნირი, რომელიც შესარჩევი შეჯიბრებაც იყო. რაპირისტ ქალებში გაიმარჯვა ვ. პრუდსკოვამ, ვაჟებში — გ. სვეშნიკოვმა. დაშნით მოფარიკავეთა შორის ტოლი არ ჰყავდა გ. კრისს, ხოლო ესპადრონისტებში მ. რაკიტას. სსრ კავშირის თასის მფლობელი, თბილისელი ესპადრონისტი ნ. ასათიანი II ადგილზე გავიდა. შემდგომ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვეს აგრეთვე, ი. შაროვმა (რაპირა), ვ. გოჯიევმა (დაშნა), ბ. მელნიკოვმა (ესპადრონი) და სხვ.

● **ამსტერდამი, 10 მაისი.** აქ დაიწყო ბელგიის, დანიის, ინგლისის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, საფრანგეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ჰოლანდიისა და სსრ კავშირის მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი, რინგზე გამოვა 60-ზე მეტი მოკრივე, მათ შორის, კონტინენტის პირველი ხელთათმანები, პოლონელები, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი ი. გრუძენი, ჰ. სკშიპჩაკი, რუმინელი ნ. გიჟუ, ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი ლენინგრადელი ვ. ემელიანოვი და სხვა უძლიერესი სპორტსმენები. ამიტომ შეჯიბრებას პრესამ „ევროპის მცირე ჩემპიონატი" უწოდა. ტურნირი დაიწყო სსრ კავშირის ნაკრების დებიუტანტის, ვ. სოკოლოვის (მსუბუქი წონა) შეხვედრით ჰოლანდიელ ი. ჰიუპენთან. მსაჯებმა ერთსულოვანი გამარჯვება საბჭოთა მოკრივეს მიანიჭეს. 13 მაისს ჰააგაში იგი შეხვდება გამოცდილ გიჟუს. ტაშკენტელმა გ. იაბლოკოვმა (მეორე ქვესაშუალო წონა) მოუგო შოტლანდიელ ჯ. გილმოურს. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონმა მეორე საშუალო წონაში კალინინგრადელმა ს. სტრუმსკისმა დაამარცხა ჰოლანდიელი ჰ. ბაარსი, სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალისტმა ვ. ემელიანოვმა (მძიმე წონა) ნოკაუტით მოუგო ჰოლანდიელ ი. ფიუტცელაარს. ტრადიციული ტურნირი 13 მაისამდე გაგრძელდება.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე

16 მაისს, დღის 11 საათზე შრომის სასახლის სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) გაიმართება საქართველოს სსრ „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს III პლენუმი.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**კლასიკური ჭიდაობა.** სპორტის სასახლე. **საერთაშორისო შეჯიბრება. დღეს.** საქართველო—იუგოსლავია. დასაწყისი 19 ს.

**ჭადრაკი.** რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზი (რუსთაველის პრ. № 17). **დღეს.** ქალთა საერთაშორისო ტურნირი. II ტური. დასაწყისი 17 ს.

**ბადმინტონი.** ლენინის სახ. სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). **დღეს.** თბილისის პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 10 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 07565